

რედაქცია

გაზეთის რედაქცია, მუხრანის ხეობაში, ქუთაისში.

ხელის-მოწერა

ქუთაისში, რედაქციაში, მუხრანის ხეობაში, ქუთაისში, რედაქციაში, მუხრანის ხეობაში.

„დროება“-„ივერიის“ უბანი

წელიწადში 6 თვეს. 3 თვეს. 1 თვეს. 1 თვეს.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

უბანი განცხადების

ქუთაისში, რედაქციაში, მუხრანის ხეობაში, ქუთაისში.

ვალე ნაშრომი, რედაქციაში, დიანს ნაკ.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

პირველის ივლისიდან წლის დამლევამდე

დროება

წაღვე დინს — სუთი მანეთი

ივერია

წაღვე დინს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, მთელი წელიწადი (გაზეთის რედაქციაში).

ვისაც 5 მანეთის მეტი არ შემოუტანია რედაქციაში გაზეთის ფული, 1 ივლისიდან მოეწონებათ გაზეთის გაზენა.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მოწერმა ათი მსურთ უნდა შემოიტანოს რედაქციაში.

ტელეგრაფები

(სახელმწიფო ტელეგრაფის ხაზებზე)

პეტერბურში, 23 ივლისს. მმართველობის მთავრობაში დაბეჭდილია:

კონსტანტინე, 22 ივლისს. დღეს ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ; შემკვიდრით და დიდი მთავრებით ილოცა იმ ახალგაზრდას, სადაც ახალ

„დროების“ ფელტონი, 28 ივლისს.

იორდანი ტუსალს...

შენი ლექსი წავიკითხე, ძმობილო, რათა სწუხნარ, ბედითა შეპყრობილო?

გაზდა მინაილ თეოდორეს-მე მიაღწა რუსეთს ელჩები, რომელთაც აცხადებს მათ დუთის ნება, რომელითაც მანაგების გვარი აჩუქებ იქნა რუსეთის სამეფო ტახტისთვის.

პეტერბურში 26 ივლისს. აფიცრად: შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზ. „ბოლოს“-მა მიიღო შესაძლებელი გაფთხილება და თანაც ექვსი თვით დაიხურა.

ტყვეობაში მეგობრისგან ტკობილო, მოესწრები: გარს გეხევენ შეილები, ბამხნეებდენ შენგან დალოცვილები, მხარში გიდგენ და ისე გატარებდენ, სიბერის ქამს მოხუცს მოგახარებდენ.

პეტერბურში 26 ივლისს. მმართველობის მთავრობის განცხადებას, უძღვეს რესკრიპტს მთავარ მინისტრ ნიკოლაის-მის სახელმწიფო, რომელთაც სჯამწიფე იმპერატორი გულისთავად მადლობას უცხადებს დიდ მთავარს დიდი ხნის შრომისა და კეთილი მოდგმისათვის განკარგვისა და ნიშნავს მისს აღმსარებლებს სახელმწიფო რჩევის თავმჯდომარედ.

დღეი თითო მსხვერპლი.

თბილისი, 27 ივლისს. სტრამეტს, ოცს და ოც-და-ერთს ამ თვისას, ზედი-ზედ, თითო კაცი დაიხრჩია მტკვარში. სიცხისაგან შეწუხებული ხალხი მტკვარში ცვივა გასაგრილებლათ, მაგრამ, სამწუხაროთ, შიგ სიამოვნების მაგიერ, სამარეს ითხრის—და ალის ბნელ სამეფოში გადადის... თუ ამ ართმეტიკული პროგრესით წავიდა საქმე, ივლისში და აგვისტოში, იმედია, სამოციოდე კაცი მოაკლდეს თბილისს. მაგრამ თბილისს რაა ამით. იმათ იკითხონ, ვისაც შეიღებო და მამები ელუბებიან, თორემ არც თბილისის ქალაქს, არც მისს თვით-მმართველობას და არც პოლიციას კაცი პასუხს არ მოსთხოვს. ზევით კი, მოუსყიდავ სამართლის სასუფეველ ადგილში რაც იქნება, ის არც

„უარინას“ ხმაზე


(სახელმწიფო სიმღერა, რომელიც სოფელი კაცი სვან სოფლების ხარვეზისთვის არის გამოყვანილი; ყოველ სოფლის აწერს ხარვეზი: „უარინა, თუ არინა სულ ფარინა, ფარინა“).

სულს არგებს დაღუპულისას და არც ხორცს.

რო ვადაშლოთ თბილისის გაზეთების კოლექცია წასრული წლები, ყოველგან ნახათ, ზაფხულის თვეში, ერთ და იგივე საჩივარს ამ საგანზე. მოველოვან ადგილის პრესასს მიუტყვევია ადგილის მთავრობის ყურადღება ამ სამწუხარო გარემოებაზე და ღონისძიება უთხოვია, მაგრამ მთავრობას ყური არ უთხოვია და საცაა ართმეტიკული პროგრესია მტკვარში დაღუპულთა გეომეტრიულ პროგრესიით გახტება.

წრელს ძველ იარაღს არ ვიხმართ და საჩივრითა და ღონის-ძიების თხოვნით არაფერს შევარწმუნებთ. შეიძლება, ღირამ უფრო გასკრას მზის ქვეყანაში. მოგვაგონდა, რომ მიკტორ ჰიუგოს ლექსმა ერთი კაცი (ბარბისი) სიკვდილიდან დაიხსნა ლუი-ფილიპის დროს, რომელსაც დიდი პოეტმა იმისი შეწყალება სთხოვა „au nom de l'ange envolé“. იმავე პოეტის სიტყვებით მივმართავთ ჩვენ ჩვენი ქალაქის მმართველობას და პოლიციას: ამ წყალში დაღუპული ხალხის სულის სახელით, შეიბრალეთ ქალაქის მოსახლობა, რომლის ფულს ათი ათასობით ჩარჯავთ თქვენზე, გააკეთეთ მტკვარის ნაპირებზე რამდენიმე საბანაი და მოაწყვეთ ეს საბანა

მე საკორინთლოელი არა ვარ, აზნაური მეღვას თავსა... მეხომ ბოდი-წყაროელი არა ვარ, წყალსა ესომდე მლაშესა... მე ხომ ორჯოშნელი არა ვარ, მიწასა ეხნავდე ღალითა... მე ხომ მეჯვრინეველი არა ვარ, სირაჯი მეღვას კარსა... მე ხომ ხურვალელი არა ვარ, მიღვე გაქანდაკებულსა... მე ხომ ბერმუელი არა ვარ, მორწილში ვქნა დიდი ჩხუბი... მე ხომ ნატარბავეელი არა ვარ, წყაროსა ესომდე ჯვრითა... მე ხომ რყენელი არა ვარ, ხარი ვაუგლო ლუასა... მე ხომ იგუეთელი არა ვარ, მიყო ტურა კორომხედა... მე ხომ ხანდაკელი არა ვარ, წყალი მომყვანდეს შორითა... მე ხომ ალინით არა ვარ, ღაბარჯაობდე წყალშია... მე ხომ მუხრანით არა ვარ, პომბალი მეღვას მხარხედა... მე ხომ მუხრანით არა ვარ, სახლს სტუმარი ვამიქურდონ... მე ხომ მიწველი არა ვარ, მგვანდე დანამშულსა კიტრსა... მე ხომ სკმელი არა ვარ, შურძინსა წილ ქიანს ვკამდე...



ნაფები ისე, რომ ეს ხალხი არ ილუ-
პებოდეს. სამს ალავს: თეატრის პირ-
და-პირ, ჩუღურეთის გასწვრივ და
მორთაქალისკენ რომ გაკეთდეს საბა-
ნავი ადგილები და სხვაგან აღეკრძა-
ლოს **თბილისის** მოსახლობას ბანაო-
ბა, შეიძლება ამ უბედურ და ხშირ
შემთხვევას რამე ეშველოს. ამის გა-
კეთებას ბევრი ხარჯი არ უნდა და
აბანოს ყარაულებს ორ ზაფხულის
თვეებში 100-200 მანეთი ეყოფა, ე.
ი. იმდენი ხარჯი, რომლითაც ჩვენი
მმართველობის კაცთ-მოყვარეობას შე-
ეძლოს თითო კაცის სული ორ-ორ
მანეთად სიკვდილიდამ დაიხსნას.

ბატონო ხმოსანო, ბატონო ქა-
ლაქის თავო, იმ დაღუპული ხალხის
სახელით, იმ წინაპრითი მოვალეობით,
რომელიც თქვენ გაწევთ!...
ლქლო.

ახალი ამბები.

სახალხო ვანათლების მინისტრი,
ბარონი ნიკოლაი, რომელიც ამ ქაშათ
საკუთარს მამულში არის, **თბილისის**
მანობლათ, როგორც სწორედ **მდე-**
სის ნოვარ. ტელეგრაფს, 28 მომა-
ვალს აგვისტოს მიბრძანდება ქ. **მდე-**
საში.

* *

სურამიდამ გვწერენ, რომ 20 ამ
თვისას, ღამით, ოთხი ავაზაკი დასცე-
მია **იტრიაში** ერთ გზის მასტერს და
ყველაფერი გავლაგებინათ სახლიდამ
რაც რამე ებადა, სხვათა შორის, ფუ-
ლათ წაეღოთ ორმოცდა ექვსი თუ-
მანი. **თითონ** მასტერი დაუჭრიათ და
ცოლი გაუღანავეთ.

* *

იქიდანვე გვწერენ, რომ ამ დღეებ-
ში გაუტარებამ სურამს ახლო იმე-
რეთიდან მომავალი ურები.

* *

სოფ. ალიდამ გვწერენ:

„ჯერ უწვიმობისგან ვიყავით შე-
წყლებული და სიმიდები მაწაში ამო-
გვეწვა; ეხლა გადამეტებულმა წვიმამ
პური გაგვიფუჭა, მინდვრებში დაგ-
ვიღბო, საწყალ ხალხს ჯერ ერთი
კალოც არ გაუღეწნია. **თქვენი** მტე-
რი, თუ წვიმამ არ გადილა“.

* *

12 ამ ივლისს სოფ. აწყურს, **თე-**
ლაფ. მაზრაში, წარმოუდგენიათ ბ.
პრისთვის კამედია „ქუსწი“.

* *

ჩვენ ჩამოგვიტანეს ხაშურიდამ ამ-
ბავი, რომ გუშინ წინ, კვირა საღამოს,
მიხაილოვოს სტანციის ახლო, წაკი-
ლებია ცეცხლი პურის ძნას და დამ-
წვარა. ამბობენ ცეცხლი განგებ არის
წაკიდებულიო.

* *

მთხი-ხუთი დღის უწვიმობის
შემდეგ, გუშინ ხელ-ახლა დაგვიბრუნ-
და ჩვეულებრივ, დიდი წვიმა. ძალა-
ქის ტემპერატურა საზოგადოთ ამ
ზაფხულში ძლიერ დახეული არის.

მსეც თქვენ და თქვენს „დაჩებს“,
თბილისიდამ გაქცეულებო.

„დროების“ კორექსიონდენციები.

აბასთუმანი, 20 აგლისს. მტრისა-
გან ახრებულ და აკლებულ ქალაქს
რომ ხელ ახლად შენებას დაუწყებენ,
სწორედ იმასა ჰგავს ამ ქაშად აბას-
თუმანი. საცა არ გაიხედავთ, ყველ-
გან მინგრეულ-მონგრეული შენობე-
ბია, ყველგან გაცხარებული მუშაო-
ბაა ახალ აგარების ასაგებად; ქვებს
ზიდავენ, თხრილები გაჰყავთ, ღურგ-
ლები და კალატონებში მუშაობენ.

მთავრობის გარდაწყვეტილებით,
აბასთუმანი ახალს პლანზე უნდა გა-
შენონ. **თითქმის** ყველა ძველი სახ-
ლები უნდა დაიქცეს (მომეტებული
ნაწილი უკვე დაქციეს), ბაზარი სხვა
ალაგზე უნდა გადაიტანონ, ახალი
სავაჭრომყოფოები და საბანკოები უნ-
და გააკეთონ. ამბობენ, ამისათვის ორი
მილიონი მანეთი არის ხაზინიდან გა-
დადებულიო.

ძველი სახლებისა და ადგილების
პატრონებს ახალს ადგილებს აძლევენ,
სახლის მაგიერ მასალის ფასს იღებენ
პატრონები.

ამ გარემოებით ისარგებლა და სარ-
გებლობს აქაური წყლების გამგებელი,
ადრინდელი ფერშალი ბ-ნი პავლენ-
კო. მს ის პავლენკოა, რომელიც
თითო-ოროლა სკანდალით მუდამ
წელიწად მოგვარებებს ხოლმე თავის-
თავს: ხან რომელსამე დედა-კაცს წარ-
მოუდგენელ შეურაცხყოფას მიაცენებს,
ხან ერთი მიბერტყავს უშვერის ქცე-
ვისათვის და ხან მეორე.

მს პავლენკო ნამდვილი ბატონია
და მბრძანებელია ახალი მთელის აბას-
თუმნისა. ჰველაფერი ამაზედ არის
დამოკიდებული: საბანკოებზე და საე-
ქიმოდ მოსულ ხალხს უამისოთ ფე-
ხის გადადგმა არ შეუძლია. სახლის
და ადგილის პატრონების სული ამის
ხელშია.

ბევრს ცუდს ლაპარაკობენ ამ ბ-
ნ პავლენკოს მოქმედებაზედ. ჰველასი
მოთელა შეუძლებელია, მაგრამ ზო-
გიერთების გაცნობა კი საინტერესოა
იმისთვის, ვისაც უნდა შეიტყოს, თუ
როგორ მდიდრდებიან ჩვენში ზოგი-
ერთი წვრილალი ჩინოვიკები, რო-
გორ ხელოვნურად სარგებლობენ
ისინი სხვა-და-სხვა გარემოებით:

სხვათა შორის პავლენკოს ჰქონდა
მინდობილი დასაწვრევ სახლების პატ-
რონებთან შორიგება. მს მიდიოდა
სახლის პატრონთან, ეუბნებოდა,
თქვენი სახლი უნდა დაიქცეს და მა-
სალის ფასი ჩემგან უნდა მიიღოთო.
სახლის პატრონს ურიგდებოდა მასა-
ლის ფასში; მაგრამ დანგრევის მა-
გიერ სახლს ბ-ნი პავლენკო თავის-
თვის იტოვებდა და სარგებლობდა!
ამბობენ, ამ ნაირად ამას ათიოდე
სახლი აქვს შექმნილი, სახლი,
რომელიც ამ ოთხი ხუთი წლის წი-
ნათ უნდა დაეგრიათ, მაგრამ ბ-ნი
პავლენკო არ ანგრევს, აქირავებს და,
ორას-სამას მანეთად (მასალის ფასად)
ნაყიდს სახლებში, ხუთას - ექვსას მა-

ნეთს ქირას იღებს მუდამ ზაფხულო-
ბითო!

ამით აიხსნება ის გარემოება, რა-
მელიც ზოგიერთ ბაზრობ ენებსაგან
გაეგონე, რომ, ვითომც, ამ უბრალო
ფერშალს, რომელსაც წელიწადში
ას თუმანდინ ჯამაგირი ეძლევა, რამ-
დენიმე ათასი თუმანი აქვს ერთს
თბილისის ბანკში შეტანილი სასარ-
გებლოდ შენახულიო და ამას გარდა
წელიწადში თავის სახლებიდან უკა-
ნასქნელი ორასი-სამასი თუმანი შე-
მოსავალი აქვსო!

და ხმას ვერაფერ ვერ იღებს; ვე-
რაფერ ვერ იღებს იმიტომ, რომ მთა-
ვარ - ბატონი აბასთუმნის მადნის
წყლებისა ღენერალ-ეკიმი ბ. რემერტი
მწყალობელია თურმე ბ. პავლენკოსი
და ათასიც რომ უჩივლონ, ის ყუ-
რადღებასაც არ აქცევს.

ამბობენ, ბ. რემერტთან ერთად ეს
პატარა, მაგრამ ძლიერი, ბ. პავლენ-
კოც გადაჰყავსთ აქედამო. მთელს
აბასთუმანს უხარიათ ამ კაცის თავი-
დამშრომობა. ყოფა რაც ხელები
მოითბო, ახლა მოსვენებაც შეუძ-
ლიან და ტკბილად გატარება თავის
მოხუცებულებისა; ახლა სხვადაც უნ-
და ისარგებლოს რამე! მართა ინჭი-
ნერებს როდი ჰქონიათ ამისთანა ხა-
სიათი, რომ თვითონაც ისარგებლონ
და ცოტა რამ საცუქქნელი თავის
შთამომავლობასაც დაუტოვონ; ფერშ-
ლებსაც სცოდნიათ.

თევა აღარ არის, იმდენი ხალხია
წელს აბასთუმანში. ბევრი ავთამყო-
ფები, მაგრამ კიდეც უფრო მეტი კარ-
გად-მყოფები, საქეიფოდ, დროს გასა-
ტარებლად მოსული ხალხი. აქედამ
წარმოსდგება ის საშინელი სიძვირე
აგარებისა, რომელიც აქ ჰსუფევს
წელს. შორალო ორ-სამ ოთახიანი
ტალახით აშენებული ქონი სამას-
ოთხას მანეთად გაქირავებულია სამის
თვით. ამბობენ, ბ. რემერტმა და
და პავლენკომ გააგრცვლეს ხმაო,
რომ წელს ბორჯომში არაფერ მიდის,
რადგან დიდი მთავარი არ იქნება
იქაო, მთელი **თფილისის** ხალხი აბას-
თუმანში მოაწყდებოდა და სხვათა შო-
რის ამასაც მიაწერენ სახლების გაძვი-
რებას.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევ-
რი ახალი სახლები შენდება აქ, (რა-
ლა თქმა უნდა თითქმის სულ სამხე-
ბი აშენებენ), ბევრს ადგილები მიუ-
ღია და მომავალ წელიწადს აპირებენ
აშენებას, და ამის, გამო შემდეგში,
უეჭველია, სახლების გაქირავებას
უნდა მოველოდეთ.

საქმის მცოდნე ხალხი ამბობს,
ახალი აბანოები მშენებებს პლანზე
შენდებაო, თითქმის მეროპაშიაც არ
იქნება ამისთანა აბანოებო. იქნება
ეს მართალი იყოს, მაგრამ ვერც ეს
გარემოება და ვერც ახალ სახლების
აშენება ვერ გააიფებს აქ ცხოვრებას
და ღარიბ ხალხს ვერ გაუადვი-
ლებს აქ მოსვლასა და წამ-
ლობას. ასე რომ ეტყობა, ეს ჩვენი
აბასთუმანი ძაგასის მისბადენად,

ბადენ-ბადენად გარდაქცევა, და შეი-
ქნება მხოლოდ შექცეული, მდიდარ
ხალხის საზაფხულო, სასაქმიმოქმედო-
ლად და ღარიბები, საშუალო შეძლე-
ბის მქონენი კი, რომელთაც ექიმო-
ბა და წელიწადში ორი-სამი თვით
მოსვენება და სუფთა ჰაერის ყლაპვა
უფრო ეჭირებათ, ეს ღარიბები კი
აქ ვერ მოსუნვენ, ვერ მოვლენ...

მაგრამ თუ ამისთანა წესები იქნა
შემდეგშიაც მადნის წყლების სარ-
გებლობაში, როგორც ახლაა, მაგ-
ნია, ვერც მდიდრებმა ისარგებლონ;
წარმოიდგინეთ: ექიმის რჩევით, თქვენ
უნდა მიიღოთ ესტქვით „ბავატირსკის
(გოგირდის) წყლები არა-მომეტებულ
და არც ნაკლებ 32 გრადუსისა. მო-
დინართ აბანოში და აძლევეთ აქიმის
ქალაქს. მაგრამ 32 გრადუსის სით-
ბოს მაგიერ, დღეს გვაძლევენ 28
გრადუსს და ხეალ 38-ს. რა სარგებ-
ლობა უნდა მოუტანოს ავთამყოფს
ამისთანა უთავბოლო წყალში ბანაო-
ბამ? სარგებლობა კი არა, ბევრიც
უარესად ავთ გახდენ და, ამის გამო,
სულაც თავი დაანებეს ბანაობას და
და მხოლოდ აბასთუმანის სუფ-
თა ჰაერის ყლაპვით კმალოფილდე-
ბიან!

საუბედუროდ, წელს სუფთა ჰაერიც
ერთობ შორს საძებნელი და ძვირი
შეიქნა აბასთუმანში: რადგან ამ ქაშად
ბევრი სახლები შენდება და უნდა რი-
შო მუშები არიან აქ მოგროვილინი,
ამის გამო ამათვან მთელი ახლო-
მანლო ტყეები სრულებით მოაზ-
რებულია. შესს ვერ გადადგამთ
უშიშრად... ამას დაუმატეთ მთის
წვრილი, შხაპუნა წვიმა, რომელიც
თითქმის გაუწყნარებლივ მოდის და
დამეთანხმებით, რომ აქ სააქიმოთ და
განსაკუთრებით საქეიფოდ ჩამოსულ
ხალხს კარგი და სასიამოვნო ცხოვ-
რება არ უნდა ჰქონდეთ.


ამას წინათ გაზ. „ძაგაკაზის ძური-
ერში“ ეწერა, რომ აბასთუმანში
ტყის-კაცა, ჩამოვიდაო ბანჯგელიანი,
რომელიც ხმას არ იღებს, ნამდვილ
მხეცსა ჰგავსო. მისაკვირველია, ღმერთ-
მანი, ზოგიერთ კორრესპონდენტების
საქმე: საილამ რას არ მოიგონებენ და
შეთხზავენ. ამის მსგავსება მაინც რა-
მე ყოფილიყოს, — ცოტას მაინც გაგ-
ვართობდა, თავს შევიქცევდით. „ძაგ-
კაზის ძურიერს“ აქეთ, ახალციხის
მხრით, ახირებული ვილაც კორრეს-
პონდენტი ჰყავს, რამდენ ამბავს
მოიწერება. იმდენი სიცრუევე გა-
მოდგა...

დროს გასართობად ჩვენ მოველით
მაღე როტონდის გათავებას, რომე-
ლიც ახლა შენდება და რომელშიაც
ბლომად ჩამოსული მიკირტუმ მასპა-
რჩის შეილები და იმათი ბარიშები
ტანცი-მანციისათვის ემზადებიან.

მომავალ ხუთშაბათს ბ. ადამიანი და
ქ. სირანუშ აქ კონცერტის გამართვას
აპირებენ.

ამ მოკლე ხანში აქ ქართულ
ტრუპასაც მოვილიან.

მართის სიტყვით, დროს-გასატარე-
ბელი და თავ-შესაქცევი რამეები ბევ-



რი მოგვეღიოს; მაგრამ, საუბედუროთ, მარტო ამით ვერ იცოცხლებს კაცი და განსაკუთრებით ავთმყოფი კაცი...

გური, 21 ივლისს. (საფ. ჯუმათი) რამდენიმე წელიწადი გადის მას აქეთ, რაც საფ. ჯუმათის სკოლა დაიხურა. სამწუხაროდ საზოგადოების ზრუნვა მანდ, რომ ეს სკოლა ხელახლად ფეხზედ, წამოდგეს ფუჭათ ჩაიდა მოლოდინი გაკრულდა, — რადგანაც ვერ იზოვნეს რიგიანი მწარმოებელი სკოლისა. მასწავლებლები, რომელნიც ამ სკოლას ყავდნენ, სრულებით არა ფიქრობდნენ, რომ ეს მძიმე მოვალეობა მასწავლებელთა წესიერათ შეესრულებინათ და ამით საზოგადოებისათვის არ მოესპოთ სკოლის შენახვის სურვილი.

პირველად ამ სკოლის მასწავლებლად დააყენა საზოგადოებამ ბ. ი. ძი, რომელმაც დაწყებინა სწავლა ახლად დაარსებულ სკოლაში. მასწავლისში შვირდების რიცხვი სკოლაში ზევრი იყო, რადგანაც მშობლები დიდს სიამოვნებით და აღტაცებით აძლევდნენ შვილებს სკოლაში, მაგრამ სამწუხაროდ მასწავლებელმა ბ. ი. ძი — მა მალე მიატოვა ეს სკოლა, და ჩვენ ამით დაგვარწმუნა რომ, როცა კაცს თავის სამშობლო ქვეყნისათვის გული შესტკივა და იმის წარმატება სურს, უდროოდროთ არ მიატოვებს ახლად დაარსებულ სკოლას, რომელსაც ფეხზე გამაგრება ეჭირება. შემდეგ იმისა, ორი თუ სამი მასწავლებელი მოიწვია საზოგადოებამ, მაგრამ ყველა ერთმანეთზედ უარესად გულ-ატრუებული გამოდგა; ისინიც ისე უდროოდ გაიღდნენ სკოლიდან და ისე ცუდათ უყურებდნენ თავის თანამდებობას, როგორც პირველნი.

ჯუმათის საზოგადოებამ ყველა მანლობელ საზოგადოების უმაღლეს დაარსა სკოლა, ააშენა სკოლის სახლი და იმეცადინა, რომ მათის მხრით დაბრკოლება არ მისცემოდა სკოლას, მაგრამ საუბედუროთ სკოლამ ფეხი ვერ გაიღდა ზემოხსენებული მიზეზების გამო და დაიკეტა ყველგან, სადაც კი გაიხდავთ, სწავლაზე ფიქრობენ და სწავლას სცილობდნენ, რადგანაც დაწმუნებული არიან, რომ მათ შვილებისათვის აუცილებელი საჭიროა ეს; აქ კი მცხოვრებნი მამასახლისის ბ. ძოტატიას — ვას შეწყურებენ, რომელიც მხოლოდ თავის ჯიბისთვის სცილობს და საზოგადო მოთხოვნილებაზე კი თავს არ იწუხებს.

აქაურ საზოგადოებას იმედი აქვს რომ მაზრის უფროსის თანა-შემწე ბ. ანტონ ნაკშიძე ყურადღებას მიაქცევს ამ სკოლის საქმეს და რამე შემწეობას აღმოუჩინს ჯუმათის საზოგადოებას. იმედია აგრეთვე, რომ წერა-კითხვას ბაზაირცვლებელი სა-

ზოგადოები“ ცოტაოდნ შემწეობას არ დაიშურებს ამ სკოლის ხელახლად გასამართავად. ივანე კვიციანი.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! ამ 1881 წლის გაზეთს „დროებაში“ მეორედ დაიბეჭდა შენიშვნა, რომლის ავტორი აცხადებს, რომ ონის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობის საქმე მივიწყებულია, ანგარიში არ გამოცხადებულა წასრულს წელში და კაცმა არ იცის — ეინ დახარჯა ამხანაგობის თანხა!!

შარშან, ამ ამხანაგობის ანგარიში იყო დაბეჭდილი 245 №-ში გაზეთის „ბაკანისა“; წინა წლებშიაც ყოველთვის იბეჭდებოდა და თუ უცნობი ავტორი არ აღეწის თვალ-ყურს გაზეთებს, ეს გამგეობის ბრალი არ არის.

ბოლოვთ, წარმოგზავნილი ამასთან ანგარიში *) დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში. ნამდვილი ამისა გაგზავნილია, სადაც რიგია.

გამგზავნის გამსესხებელ-შემსახველის ამხანაგობისა ყარაძან ჯავახიძე. ვასტანტინე ჯავახიანი. სპირიდონ დვავი.

16 ივლისს, დ. ონი.

რუსეთი

საკუთარი კორრესპ. ნოვოე ვრემის სწერს ლონდონიდან: დიპლომატია არ გაერევა ებრაელების საქმეში. იმ მოლაპარაკებლად, რომელიც ინგლისის მთავრობას ჰქონდა მეროპის სახელმწიფოებთან ამ საქმის შესახებ, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოებს მაშინ შეუძლია წინადადების მიცემა რომელიმე სახელმწიფოსთვის, როდესაც მათ ქვეშევრდომ ებრაელებს შეეხება რამე. ლდემდისინ არც ერთ სახელმწიფოს არ მიუღია საჩივარი, გარდა ინგლისის სახელმწიფოსა, პეტერბურლიდამ განდევნილ ვაჭრისგან ლევისინისაგან.

— მ. ბრიანსკილამ იწერებინა, რომ ამ ქალაქში ხოლოცა დღემდის არ შეკვეცილა, თუმცა ადგილობრივ საერო გამგეობიდან თავის დროზედ მიღებული ზომებით, მისი გავრცელება შეჩერებულია. სამოქალაქო რჩევამ გამოართა ქ. ბრიანსკში საავთმყოფო დროებით საშუალების მისაღებად; ავთ მყოფები ბევრნი არიან, მაგრამ ექიმები ძირეფ ცოტანი არიანო.

— მაზ. მასკოვის ტელეგრაფი: სწერს: დამტკიცდება თუ არა ახალი კანონები განსაკუთრებით შემთხვევების შესახებ, მაშინვე მოისპობა ყველა განსაკუთრებითი ზომები, რომელიც 1878 წლიდან იყო მიღებული სოციალისტების და რევოლუციონერების წინააღმდეგ.

— მოგვყავს ზოგიერთი ადგილები იმ მოხსენებებიდან, რომელიც ეს-

ტონელების დებუტაციამ წარუდგინა მთავრობას პეტერბურლიში მყოფის დროს. აი რა ცვლილებას თხოულობდნენ ისინი სხვათა შორის:

ა) გლეხების ადგილ-მამულებისათვის დანიშნული იყოს მთავრობისაგან გადაჭრილი გამოსასყიდი ფასი, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, საეკონომიკურად რომ ადგილები რადისმე გადავიდეს გლეხების ხელში, მიუხედავთ იმისა, რომ მთავრობას განზრახვა ჰქონდა გლეხების დასმარებისა, როდესაც ამ ადგილებს ანაღვევებდა მესატრების მამულებისაგან.

ბ) აქამდის შემდგარი გლეხების ნასყიდულობის პირობები გადასდოს მთავრობამ და, სადაც საჭიროა იქნეს, შესწორდეს, რადგანაც ზოგიერთებში სულ განხის წინააღმდეგი პირობებია. მაგალითებ, განდასასადი, რომელიც შემამუქეს ადგილებზედ არის დადებული, გლეხების მამულებს ატყუებს თავსე; შემამულები არ იშლიან ვატრონობას გაუდულ მამულებზედ, ასე რომ მიწის მესატრანეთ გამოდის ორი; ზოგიერთი განდასასადები მოისპოს, რადგან უწინდელ ბატონობას გვაგონებენ.

გ) სახელმწიფოდ საერო განდასასადი, როგორც მაგალითებ, გზისა, განაწილებული იქნეს თანასწორათ შემამულებზედ და გლეხებზე.

დ) მიენიჭეს გლეხებს წარმომადგენლობითი უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც საგნების განსილვა შეეხება თვით საზოგადოების ინტერესებს; ამის ადგილათ ასრულება შეიძლება ამ ადგილებში ერების (ზემსტოკ) შემოღებით.

ე) სასახლო სკოლები ჩამოერთვას ახანაურობას და სასულიერო წოდებას.

ვ) საეკონომიკური ბატონობა მოსპობილ იქნეს და მიენიჭეს საზოგადოებას მდკვლეების ამოწმება თავისთვის.

ზ) ბალტიის ზღვის ნაპირ ადგილებში იყოს სმარებული ოფიციალურ ენად ადგილობრივი ენები, და ამისათვის ყველანი, ვინც კი ათავებს გურს დერბის უნივერსიტეტში იურიდიულ საგნებდამ, ვადლებული იყვნენ ადგილობრივ ენებდამ კვამენი დაიჭირდნენ, რადგანაც ამის შემდეგ ამ გუბერნიების სასამართლოებში გაადვილებული იქნებოდა საქმეების წარმოება, თუ კი ეტოდინებოდათ სახელმწიფო ენა — რუსული და ადგილობრივი.

ამ მოხსენებაში მოყვანილი ჰაზრი არის სურვილი მთელი ბალტიის ზღვის ნაპირა მცხოვრებლებისა.

მკვლეი ქართული ეკლესიური გალობის და ნოტების შესახებ.

პრთი ჩვენი მგალობელთაგანი, გურული, შილიპე შარვაშიძე (რომელიც აწ ექსარხოსის მგალობლებში ირაცხვის და რუსთა მგალობლების ხორაში გალობს) ამბობს ქართული გალობის ხმების შესახებ, და მასთანავე ქართულის და რუსულის გალობის ხმების შედარებისა პირობაზედ შემდეგს:

ქართულ გალობას აქვს სამი ხმა:

- 1) პირველი თქმა, ესე იგი პირველი ტენორი.
- 2) მეორე მადლიანობა მწველი ხალი, ესე იგი მეორე ტენორი.
- 3) მესამე ხანი, ესე იგი ბასი

„ძველ დროშიდაც, ოდესაც ქართული ქათალიკოზობა და ეპისკოპოზობა იყო, და მათ ქართული გალობის ხორა ჰყვანდათ, სამი ხმა იყო გალობისა:

- 1) კრინი, ესე იგი პირველი დისკანტი.
- 2) სტვინი, ალტი.
- 3) დგრდვინი, აკტავა“.

ამასთანავე დაუმატა მგალობელმა შილიპემ: „ძველებურად მგალობლების სრული ხორა რომ იყოს ქართულ ენაზედ მაშინ ქართული გალობა სწორეთ უმფროა მშვენიერი მოსასმენი იქნებაო“.

ამ ზემოთ რაიცა დაწერილ არს მგალობლების ხმების პირობაზედ, მეწაუთხე ამ გურული მგალობლების უფროსს მგალობელს თ. მელისიდეკ ნაკაშიძეს და იმნაც დაგვიმოწმა ზემოთ დაწერილი „ყოველივე კარგათ და სისწორით არის დაწერილო“, და მასთან დაუმატა, ძველად ოდესაც საქართველოში ხორა იყო ქართული მგალობლებისა, მაშინ მგალობლებს ჰყვანდათ თავიანთ უფროსი, გალობის ხმის დამწყობი, გალობის წინამძღვარი ანუ „ლოტბარი“ რომელ არს რუსულად რეგენტი.

მე ამას ყოველსავე ამ მიზეზის გამო ვაბეჭდებ ასე, რომ რადგან ახლა ხორა აღარ არის ქართული მგალობლებისა და მხოლოდ ძველთაგან გალობის ლექსები დაგვრჩა, ვითარცა: ლოტბარი, კრინი, სტვინი, დგრდვინი და სხვანი, გაიგონ ახალმა რუსულ ენაზედ აღზრდილმა ყმაწვილებმა, თუ ეს სიტყვები რუსულათ გალობის პირობაზედ რას ნიშნენ და მასთან ესეც უწყოდნენ, რომ ჩვენც, ქართველებს, ერთ დროს მშვენიერი ხორული გაწყობილი გალობა გვქონია.

კვისკამხისი ალექსანდრე. 18 ივლისს. თბილისი.

თხილისის სამაჰრანლო

ავთმყოფები მიიღებინ დიდის ცხრა საათიდან ვიდრე ნაშუადღეის პირველ საათამდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს. გავრანსკი — ექიმი ბუბიაბისა და ქალების ავთმყოფობისა; გორალევი და ლისიცივი — შიგნაგან ავთმყოფობისა; როტინიანტი — ქალები-სა და ყმაწვილების ავთმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავთმყოფობისა; შტემბორსკი ვენეროულ და ტყავის ავთმყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკვიჩი — ნიჭურიული ავთმყოფ.; რეინი — თვალების ავთმყოფობისა; ბასუტოვი — ბუბიაბისა, ქალებისა და ყმაწვილების ავთმყოფობისა; შეტროვსკი — ვენეროულ ავთმყოფობისა.

ო თ შ ა ბ ა თ ს. კრანსოგორიადოვი და ლისიცივი შინაგან ავთმყოფობისა; ქიუხანანტი და შტემბორსკი — რიფი-

ლიტიკური და ტყავის ავთოფობიისა.

ხუთ შაბათს გარდასული — ბუბია — ბისა და ქალების ავთოფობიისა; რატინიან-ტი — ქალების და უმწიფელების ავთოფობიისა; ბაბაუკი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტრანზიისა ლისიტრული და ჰეტროკსი შინაგან ავთოფობიისა; ქიურანინი 1-ლი სიფილისტიკური ავთოფობიისა.

შარასკეკს. მინკევიჩი — სირუგი-ული ავთოფობიისა; ბასტოკი — ბუბი-მობისა, ქალების და უმწიფელების ავთოფობიისა; გრანსოგლიადოვი, ლისი-მოვი და ვერმიშოვი — შინაგან ავთოფობიისა; შტემბოროვი — ვენერული და ტყავის ავთოფობიისა.

შაბათს. ლისიტრული — შინაგან ავთოფობიისა. რეინი — თვლების ავთოფობიისა; ბაბაუკი — ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავთოფობიისა; ქიურანინი 2-რე — ქალების და შინაგან ავთოფობიისა.

ობრესტი — კბილის ავთოფობიისა, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავთოფობიის ბარათებით.

განსჯაღებანი

ჩაის მცოდნე პირთ და მსურველებს

შეუძლიათ იყიდონ პირველ მოკრეფის ჩაი ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შედარ-რონ 1 მან. 60 კაპ. და 3 მან ჩაის ყველგან თფილისში და გაიგებენ, რომ ინგლისის მაღაზიაში ნაყიდი ჩაი ბევრათ უკეთესია. ამის გარდა ჩაი იყიდება წმინდა წონით, უქალაღლოთ. (100—1)

ახლად მიღებული

ღიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რე-ვოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. მოფები ჩოკ ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრიკიდან 120 მან. ბულ-დოვის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდან 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნა-ხევარ ფასად და სხვ. ინგლისის მა-ლაზიაში. (12—1)

ლონდონის მაღაზია გომერტიული

ბანკის ქვეშ დაასრულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითობრ: თოფებისა, რეკლავურებისა, კლიტკებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოჯებისა, ჩაინიკებისა, შო-კოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სპონი-სა, შხო კებისა, ცხვირ-სასრტისა, ქა-ლაღლისა, კარნადაშებისა, კალმებისა, უნა-გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეში-გინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-კინტოშის მოსახურებას გასასყიდლად განუეტების და ბატკურის და კამპ. მუ-რანისა, აგრეთვე ხელქებისა და წინდე-ბისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ქაჯანს გიარები. (100—1)

ჩაის მცოდნე პირთ და მსურ-ველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირ-ველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შედაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რა-მდენათ უკეთესი ჩაი ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღა-ზია აძლევს ჩაის წმინდა წო-ნით უქალაღლოთ და უტყვიოთ. (100—15)

ინგლისის მაღაზიაში

თიან-სიყვანი-მამ-მას-ტერი

ამაგრებს თმს და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის შომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტყა-ლეტის საშონი, დუხები და სხვ (100—6)

ინგლისის მაღაზიაში

ანწრუნის გალფურეიაში (Maison de confiance) შედარეთ ჩეენი ჩაი ჩაის ყველგან — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ. — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაპ. — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაპ. — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაპ. — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაპ. საუფესო 2 მანეთ. — 3 მანეთ. ჩაის წონა — უქალაღლოთ, სსგან გი ქალაღლოთ. (100—19)

ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა-ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი-სიანთან (ოკრუტის სულის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა: წითელი ფარანი, ფასი 15 კ. ხატაური — — — 10 კ.

მიუხედავით იმისა, რომ ბაუი მოი-

მატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფა-სად, როგორც წინეთ იყო: კონგრა-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშკენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. პრემი კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ. ინგლისური რეკლავურ ჩი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მა-ნეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. სააგენტო ბანსების უნაგრების გასას-ყიდლათ, ჯონსის კლიტკებისა, შოკო-ლაღლისა და კესტრანქტისა კაკაო ფრანს რომელათც დაიმსახურეს შარაიის მსოფ-ლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი.

გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვანკები მოიგებენ, თუ იყიდას ბლამათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონტუტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—83)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანეთ., ნსოტეუბ 1 მ., დასაკვც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატინი კრესლო 10 მ. დაწებული, ფილტრები 4 მ., ქინისთავების შესანახავი 50 კაპ., სრუსტლის ჩაის სტაქები 25 კაპ. და 30 კაპ.; ლეპორო-კები და პასტილა თამბაქოს მსმარებ-ლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანსები და სხვა. (20—20)

ბაბასხველების კასნიდან

ბრიგოლ ბარამოვისა და კომპ., ქუთაისში ამით ცნადების, რომელ ორ-შაფათს 10-ს აგვისტოს ამა წლისს დიდის 10 საათიდან, განისყიდება ამა კასის წინ, ქალაქის აუციონისტების სკელით ის გირაოები, რომელნიც არ დაუსწინათ კასიდან ვადის ორის თვის ალგოტის შემდეგ: ოქროსი, ვერცხლისა ბრილიანტისა და სხვა ნივთები. (7—6)

კანტორა

ეროვნული რუსების და ინგლისების

კაპაბაძისა

მაცნობებთ პატივ-ცემულ საზო-გადოებას, რომ 1880 წლის ნოემ-ბრის 20 დღიდან გაღებულ ჩვენ მიერ შ. შოტს კამინიონი კანტორაშიდ ლუკა რუხადის მაღაზიაშიდვე ვეღებულობთ შრომას მსურველის მო-თხოვნილებით ყოველ გვარ საქონ-ლის გაგზავნა-გამოგზავნის, ყიდვისა და გაყიდვისა ნაკლები კამისიით. კამისიის საქმეებს აწარმოებს მ. ს. მ. დავითისძე კაპაბაძე, რომლის-განაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა. (6—2) ლ. რუხაძე.

ახლად მიღებული

ინგლისის მაღაზიაში ღიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე საღმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტა-ქები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსე-ბი 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნა-ხევარ ფასად და სხვ. (25—3)

ანგარიში

ჩაის შემსხველ-გამსესხებელის ამხანაგობის 1881 წლისა.

1 იანვრისთვის 1880 წ. ირიცხებოდა:

	მან. კაპ.	მან. კაპ.
წილის ფული	863—	„
სასარგებლოდ შემოტა-ნილი	179—96	
ნასესხი	1,643—	„
სათადარიგო თანხა	58—84	
წმინდა მოგება	353—98	
და სრულიად	3,098—78	

და სრულიად . 3,098—78(?)

1880 წელში:

გაწერილია გასაგალში

	მან. კაპ.	მან. კაპ.
წილის ფული	69—	„
სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს	221—99	
ჯარიმა	13—40	
დაბრუნებული სესხი	4,672—55	
სათადარიგო თანხა	22—10	
და სრულიად	4,596—64	

და სრულიად . 4,686—83

1-ის იანვრისთვის 1881 წლის ირიცხება:

	მან. კაპ.	მან. კაპ.
წილის ფული	675—	„
სასარგებლოდ შემოტა-ნილი	179—96	
ნასესხი	1,643—	„
სათადარიგო თანხა	80—94	
წმიდა მოგება	205—53	
და სრულიად	2,784—47	

და სრულიად . 2,784—47

გამგეობის წევრნი. 1 კოსტანტინე ვადაიანი 2 ყარამან ჯავახიძე 3 სპირდონ დვალისი. (2—1)